

“სახალხო ბანკი” სახელის ცვლილებისა და რებრენდინგის კამპანიის დაწყების შესახებ აცხადებს

დღეს სს “სახალხო ბანკი” (შემდგომში “ბანკი”) რებრენდინგის კამპანიის დაწყების შესახებ განაცხადა. რებრენდინგის მიზანია ბანკის იმიჯის განახლება და იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების ასახვა, რომელიც ბანკში მისი 2009 წლის სექტემბერში “ლიბერთი კაპიტალის” მიერ შესყიდვის შემდეგ განხორციელდა. ბანკის ახალ სახელწოდებად შერჩეულ იქნა “ლიბერთი ბანკი”.

ბანკმა ასევე შეცვალა კორპორატიული ლოგო და სლოგანად “ყველგან და ყველასთვის” აირჩია. ახალი სლოგანი კარგად ასახავს იმ ფაქტს, რომ ბანკს გააჩნია ქვეყანაში ყველაზე ფართე ფილიალების ქსელი და კლიენტურის ბაზა. ბანკი 1.2 მილიონზე მეტ ფიზიკურ პირს ემსახურება.

“ლიბერთი ბანკის” ახალი იმიჯი



Everywhere And For Everyone

ყველგან და ყველასთვის

“მოხარული ვარ, რომ ბანკის რებრენდინგის კამპანია წარმატებულად დაიწყო. ახალი კორპორატიული იმიჯი სრულად ასახავს ჩვენს ამბიციას ბანკის, ფილიალების ქსელისა და პროდუქტების მოდერნიზაციის შესახებ. გასული ექვსი თვის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი ბანკის რესტრუქტურისთვის დასასრულებლად”, აღნიშნა **ლადო გურგენიძე**, ბანკის გენერალურმა დირექტორმა და სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა.

“ლიბერთი ბანკის” შესახებ

“ლიბერთი ბანკი” (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით 4.4% შეადგინა (2009 წლის სექტემბერში ბანკის საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით 3.7% იყო). სს “ლიბერთი ბანკი” 175 ფილიალისგან შემდგარი ყველაზე დიდი ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 26,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას. 2009 წლის სექტემბერში „ლიბერთი კაპიტალი“-მა ბანკის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა და მისი რესტრუქტურისთვის დაიწყო.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.libertybank.ge ან www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@libertybank.ge

თაშუა გუნიას
ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი
ტელეფონი: +995 91 20 55 11
ელ-ფოსტა: ir@libertybank.ge

“ლიბერთი ინვესტიმენტის” შესახებ

“ლიბერთი ინვესტიმენტს” 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ასორციელებს შზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე. “ლიბერთი ინვესტიმენტ” ინვესტიციებს ასორციელებს ისეთ შზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.libertycapital.ge დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lg@libertycapital.ge

დამირი კასატკინს
დირექტორის მოადგილე
ტელეფონი: +44 77 860 28 700
ელ-ფოსტა: dk@libertycapital.ge